

მისაღები განცხადებების სახეობები:

- **განცხადება სტუდენტის სტატუსის აღდგენის შესახებ.**
შენიშვნა: ა) სტატუსის აღდგენის განცხადებას აუცილებლად უნდა ახლდეს მინიმალური დადგენილი თანხის გადახდის ქვითარი, წინააღმდეგ შემთხვევაში განცხადება არ მიიღება. ბ) სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია სწავლის დაწყებიდან 4 კვირის ვადაში;
- **განცხადება სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ.**
შენიშვნა: განცხადებაში სტუდენტს გადახდილი თანხის შენახვის შესახებ შეუძლია მიუთითოს მხოლოდ სწავლის დაწყებიდან 4 კვირის ვადაში;
- **განცხადება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ.**
შენიშვნა: განცხადებაში სავალდებულოა სტატუსის შეწყვეტის მიზეზის მითითება.
- **განცხადება სტუდენტის პირად მონაცემებში ცვლილებაზე (გვარში ან სახელში, საპასპორტო მონაცემში და ა.შ.).**
შენიშვნა: აღნიშნული სახის განცხადებას აუცილებლად უნდა დაერთოს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტი.
- **განცხადება საგამოცდო ნაშრომის გასაჩივრებაზე.**
- **განცხადება განსაკუთრებული კატეგორიის სტუდენტებისათვის სწავლების სპეციალური პირობების შექმნის შესახებ (სწავლისა და გადახდის საშეღავათო პირობები).**

ა) სპორტულ და კულტურულ-მასობრივ ღონისძიებებში მონაწილე, ძალოვან სტრუქტურებში დასაქმებულთა, ჯანმრთელობის პრობლემების მქონე კატეგორიის სტუდენტებისათვის - განცხადება აუცილებლად უნდა დასტურდებდეს შესაბამისი ცნობით (სპორტული კლუბის, დასის ხელმძღვანელების ან სტრუქტურიდან გაცემული დოკუმენტი). (უფლებამოსილი პირები - რექტორი/დეკანი).

ბ) უნივერსიტეტში ორი ან მეტი დედამამიშვილის სწავლების შემთხვევაში, განსაკუთრებული მძიმე ჯანმრთელობის ან ოჯახური მდგომარეობის მქონე სტუდენტებისათვის - ფინანსური შეღავათების მოთხოვნაზე განცხადება უნდა დადასტურდეს შესაბამისი ცნობით, დაბადების მოწმობის წარდგენით (უფლებამოსილი პირი - კანცლერი).

- **განცხადება წარჩინებულ სკოლადამთავრებულთათვის სტიპენდიის დანიშვნის შესახებ**

შენიშვნა: განცხადებების მიღების ვადაა აკადემიური რეგისტრაციის გავლიდან 2 კვირა.

განცხადებას თან უნდა ახლდეს:

- ა) სერთიფიკატი ან უფლებამოსილი ორგანოს ცნობა მედლის გაცემის შესახებ,
- ბ) დამადასტურებელი დოკუმენტი იმისა, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდებით კსუ-ში ჩაირიცხნენ უნივერსიტეტის პიველ ან მეორე ადგილზე შერჩევით;

- განცხადება კსუ-ს ბაკალავრიატის იმ წარჩინებულ კურსდამთავრებულთა სტიპენდიის დანიშვნის შესახებ, რომლებიც სწავლას აგრძელებენ ამავე უნივერსიტეტში მაგისტრატურაზე
შენიშვნა: განცხადებების მიღების ვადაა აკადემიური რეგისტრაციის გავლიდან 2 კვირა.
განცხადებას თან უნდა დაერთოს დიპლომის დანართი;
- განცხადება კურსის შეცვლის შესახებ:
შენიშვნა: განცხადებას უნდა დაერთოს გადაღიარების დოკუმენტი.
- განცხადება შიდა მობილობის შესახებ;
- განცხადება გაცლით პროგრამაში მონაწილეობის შესახებ;
- განცხადება გადახდის ინდივიდუალური გრაფიკის შესახებ;
- განცხადება კრედიტებით გადახდის შესახებ;
- განცხადება პარალელური კურსების დანიშვნის შესახებ.
- განცხადება ინტენსიური კურსის შესახებ.
- განცხადება უმიზეზოდ, დავალიანებით და ა.შ გაცდენილი გამოცდის აღდგენის შესახებ.
- განცხადება გამოცდის აღდგენის შესახებ.
შენიშვნა: განცხადებას უნდა დაერთოს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტი.
- განცხადება საჩივარზე საგამოცდო ცენტრთან მიმართებაში (ნაშრომის გაუქმება ა.შ.).
- სტუდენტთა განცხადება (ინდივიდუალური; ჯგუფური) სასწავლო პროცესთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ.